რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ყველა მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ. საზოგადოების" წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 5 კაპ.
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ. მეორეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

## ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 15 იანვარს

ბენეფისი
ქ-ნ კარგარელისა

ქართულ დრამატიულ დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

═ ახალი პიესა ═

## ინჟინერი ან დოსტური

კომედია 4 მოქმ. თხზ. ქ-ნ აზიანისა

II

## მშვენიერ ელენეს მაძიებელნი

ფარსი 2 მოქმედ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელისა, რჩეულოვისა; ბ.ბ. აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, სვიმონიძე, ადამიძე, თამაზიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე. რეჟისორი ქ. მესხი

---

გამოვიდა და ისყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში

## გლეხი-კაცის ისტორია

ერკმან-შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით ივ. მაჩაბელიანისა

ნაწილი პირველი: საერო კრება.
ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი.

ფასი თითო ნაწილისა სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური

—

იქვე ისყიდება ი. მაჩაბელიანის თარგმანები:
**ბრძოლები**, 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კაპ.
**იუდითი**. ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა. ფასი 30 კაპ.
ვინც ფოსტა-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთმობა. (3—1)

---

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი

## მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა
## ქუთაისის გუბერნიაში და მისი საქმეები

ნ. წერეთლისა

შინაარსი:

I. რამ გამოიწვია დაარსება «მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა»?
II. „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის" მოქმედება.
III. „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა" და ბ. ი-ბ ქ—ძე
IV. რა და რა ნაკლს პოულობს ი. ქ—ძე „მეაბრეშუმეთ. პირველი ამხანაგობის" საქმეთა წარმოებაში.

ფასი 5 კაპ. (15—11)

---

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

## ხე-ტყის ქარხანა

კოდორი (სოხუმის ოლქში)

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაზე გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს

**წაბლის ფიცრებს**

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.

ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანასმიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе*, ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*

ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—289)

---

ქ. ფოთში
საუკეთესო ადგილზე და პირველს ქუჩაზე
იძლევა ქირით
ქრისტეფორე ხუმარაშის სახლებში
დიდი ორ-სართულიანი სადგომი

## რესტორანისა და სასტუმროსთვის

(სადაც წინად მოთავსებული იყო სასტუმრო „კოლხიდა" ქ-ნ ბარბერონისა)

ზევით სართულში მოთავსებულია 18 ოთახი და ერთი დიდი ზალა თავის მოწყობილობით.
ქვევით სართულში-კი არის ხუთი ოთახი და ერთი სამზარეულო, ხოლო ქუჩის პირად ერთი დიდი სასადილო დარბაზი.
ზევით გამართულია მშვენიერი მორთული ოთახები სასტუმროდ ხოლო ქვევით საუცხოვო რესტორანი-სამზარეულო
მსურველს შეუძლიან დაიქირავოს ცალ-ცალკე და საერთოდ ორივე სადგომი, ხოლო ვინც მარტო სასადილოს დაიქირავებს, იგი მოვალეა იქონიოს ყოველ-დღე სადილ-ვახშამი სასტუმროსათვის.
სასტუმრო მიეცემა ქირით მხოლოდ გამოცდილს და თავისს საქმეში დახელოვნებულს კაცს.
პირობის შეტყობა შეიძლება პირად ან წერილით შემდეგის ადრესით:
(3—1) ფოთი. ქრისტეფორე ხუმარაშე.

---

თავად-აზნაურობის თეატრი
სამშაბათს, 13 იანვარს
პირველი გასტროლი, მთელს ქვეყანაზე განთქმულის დასისა

## ლილიპუტები

(ქონდრის კაცები)

ამ დასის არტისტებს სიმაღლე აქვსთ ერთი ალაბი და 2 გოჯიდამ მოყოლებული ერთ ალაბ 6 გოჯამდე. 21 წლიდამ 28 წლისანი არიან.
უფრო ვრცლად პროგრამებში. (2—2)

---

დაიბეჭდა და ისყიდება
1898 წლის

## კედლის
## ქართული კალენდარი

შედგ. გრ. ჩარკვიანის მიერ
ფასი 40 კაპ.

ისყიდება წერა-კითხვის მაღაზიაში, ს. მ. ლაზარევის სამწერლო ნივთეულობის მაღაზიაში და პროვინციებში ყველა ქართულ წიგნებით მოვაჭრეებთან.
გარეშე პირთათვის ადრესი: Тифлисъ, магазинъ канцелярскихъ принадлежностей, домъ Комоевской церкви. (10—5)

---

პირველი კერძო სამკურნალო.
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. ნავასარდიანცი. 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.
გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ექიმი ქალი რუდენკო $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ყურის ყვავილს.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის $11^1/_2$—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.
ი. ფ. პრიტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.
ა. ფ. კარაშეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. გ. გურკო. დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.

**საღამოობით**

ა. მ. ზუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.
ბ. ა. ნავასარდიანცი 6—$6^1/_2$ ს.
ა. ნ. შპაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ და ხედაკანის ავად.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს ნახველს, სისხლს რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

---

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ვ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, ავადმყოფობისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოვანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

---

## დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა"
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

10 იანვარი.

**პრაგა.** ლანდტაგში შეეხო გერმანულისა და ჩეხურის ენებს. წინადადებას იძლევა, რომ 24 წევრთაგან არჩეულ იქმნას კომისსია, რომელმაც თათბირი უნდა იქონიოს ენების შესახებ. ეს წინადადება მიღებულ იქმნა. კაიცლი ამტკიცებს, რომ ჩეხები არც-კი ჰფიქრობენ გერმანელების გაძევებასა. რეიგერი ეწინააღმდეგება ენების შესახებ განკარგულებას და თხოულობს, რომ ხელმწიფის მოადგილე დათხოვნილ იქმნას სამსახურიდამაო. ლაიტნერი ამბობს, თუ ვინიცობაა ჩეხებს სახელმწიფო უფლებანი დაუბრუნდათ, საქმე მაშინ უფრო გამწვავდება, ვიდრე ეხლა ენების გამო არის გამწვავებული საქმეებიო. შლეზინგერი, სპიცი და ვოლფი ჰკითხულობენ, რათ აკრძალეს ნიშნების ტარება, რომელნიც სხვა და სხვა დაწესებულებათა და „საზოგადოებებს" ჰქონდა მინიჭებულიო და თხოულობენ, რომ ეგ განკარგულება დაუყონებლივ შეიცვალოსო (ხანგრძლივი ხმაურობა). სხდომა დაიხურა.

**პარიზი.** პალატაში თათბირია საეკლესიო ხარჯით აღრიცხვის შესახებ. გობლეც იმ აზრის არის, რომ ეკლესიისა და სახელმწიფოს ხარჯს ერთმანეთში კავშირი არ უნდა ჰქონდეთო. ეს წინადადება უარ-ჰყვეს 309 ხმით 192 ხმის წინააღმდეგ. ლეგირისსე ჰკითხულობს, რა ზომების მიღებას აპირებს მთავრობა დიდის რაბინის ზადოქხანის წინააღმდეგ, რომელიც დრეიფუსის საქმეში გაერიაო. ბორეგარი იმ აზრისაა, რომ შეუმცირონ ჯამაგირი რაბინს; მილიარი ამბობს, თუ რაბინები უწეს-რიგოდ დაისჯებიან, მაშინ შეიძლება სრულებითაც მოესპოთ მათ ჯამაგირიო. ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცეს. ბრისსონი აცხადებს, რომ კავენიაკის მიერ აღძრული კითხვა, რომლის განხილვაც სამშაბათამდე გადიდვა, განხილულ იქმნება ხვალაო. ბორეგარის წინადადება უარ-ჰყვეს.

გაზ. „Aurore" ჰბეჭდავს კიდევ ზოლას ახალ წერილს სამხედრო მინისტრისადმი, რომელშიაც ამბობს, რომ ყოველსავე გამოვამჟღავნებო.

11 იანვარი

**პარიზი.** პალატა. დიდ-ძალი ხალხია. კავენიაკი მოჰყვა თავისს საკითხს. ამტკიცებს, რომ კაპიტანის ლებრენ-რენოს მოხსენება იმის შესახებ, რომ დრეიფუსმა სიმართლე აღიარა, მტკიცდება ორის საბუთი

თაო, უსაყვედურებს მთავრობას, რომელიც გაჩუმებულა და მით ნებას აძლევს ხელ-ახლავ ილაპარაკონ ერთხელ გადაწყვეტილ საგანზეო. თუ მთავრობა ჰფიქრობს, რომ იმ სახელმწიფოს დასახლება საშიშოა, რომელიც მოხსენებაშია—ამაზე არავინ ძალას არ დაატანსო. კავენიაკი თხოულობს, რომ მთავრობამ ყველაფერი ნათლად ახსნას (ტაშის ცემა). მელინი უპასუხებს, რომ ლებრენ-რენოს მოხსენებას ვერ გამოვაქვეყნებთო. მთავრობა შეუძლებლად ხედავს ამ მოხსენების გამოქვეყნებას იმიტომ, რომ პარლამენტის მსჯელობა შეცვლის საქმის ხასიათს და წესიერად წინ-სვლას. თუ ამის შესახებ ბაასი ატყდა—ვეღარ შევაჩერებთო და ეგ საქმე ხელ-მეორედ განხილვა იქმნებოდაო. მეორე მიზეზი ამისა იგივეა, რამაც მთავრობა აიძულა ეგ საქმე დაკეტილს კარებში იდუმალად განეხილა. ეგ მიზეზი მაინცა და მაინც თვალ-საჩინო არ არის, მაგრამ წესად გვაქვს შემოღებული, რომ ჯაშუშობის გამო აღძრული საქმეები იდუმალად განიხილოს სასამართლომაო. სახელგანთქმულმა მწერალმა თავისი კალამი იხმარა ჯარის შესაურაცყოფელად... (ხანგრძლივი ტაშის ცემაა მარჯვნივ და ყვირილი მარცხნივ). მელინი სოციალისტების წინააღმდეგ ლაპარაკობს და სთქვა: «საჭიროა, ხალხმა იცოდეს, რომ პალატა ეთანხმება კაბინეტს!» (ტაშის ცემა). კავენიაკს უკანვე მიაქვს თავისი წინადადება. ჟორესმა იმავე საგანზე აღძრა კითხვა; იგი საყვედურობს, რომ სოციალისტებს ემტერება მთავრობაო და კონსერვატორებს ბრალსა სდებს იმაში, რომ მთავრობა უკან-დაწევისა და განადგურების გზაზე მიჰყავთო (მარჯვნივ ხმაურობაა). ზოლას წინააღმდეგ მიღებულს ზომებში სიყალბე არისო (მარცხნივ ტაშის ცემაა). ბევრნი (კონსერვატორია) ბრალსა სდებს, ჟორესს მაში, რომ იგი ვექილია დრეიფუსის სინდიკატისა. ჟორესმა უპასუხა: „თქვენ არამზადა და უნამუსო ხართ!“ ბერნი მიეშურება კათედრისაკენ, მაგრამ რამოდენიმე სოციალისტი იჭერს მას და ატყდება ჩხუბი. ბერნი მაინც მიაღწევს კათედრამდე და სცემს ჟორესს. სოციალისტები და კონსერვატორები მისცვივიან კათედრას და ატყდება საერთო ჩხუბი. ბრისონი, რაკი წესიერებას აღადგენს, ადგება და განაცხადებს, რომ ყოველსავე ვაცნობებ მთავარ პროკურორსაო (ღელვა).

**ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ.** ვანში დიდი აღელვებაა, რადგან სომეხ-რევოლიუციონერის საქმის გამო საერთოდ გაჩხრიკეს ყველა სახლები, სომეხთა ვანის ეპისკოპოზი გაერია ამ საქმეში, მაგრამ ამაოდ და ამიტომ თავი დაანება სამსახურს.

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომ ქალაქებში ძაღლებზე ბაჟის შესახებ შედგენილ იქმნას საერთო სავალდებულო წეს-დება.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გამოეცხადოს გაზეთის «მიროვია ოტგოლსკი»-ს რედაქტორ-გამომცემელს ტრუბნიკოვს პირველი გაფრთხილება.

რამიან ინდოეთში შავმა ჭირმა დგინა, რომ წელსაც აღეკრძალოთ მაჰმადიანებს რუსეთიდამ სალოცავად წასვლა· ინდოეთში გაჰგზავნეს ხუთი ექიმი სენის თვალ-ყურის სადევნებლად.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** ხმებია, ვითომ პორტ-არტურში მდგომ სამხედრო გემებს ბრძანება მიუვიდა დაუყოვნებლივ გავიდნენ იქიდანო. რეიტერის სააგენტოს შეუტყვია, რომ ინგლისის სამხედრო გემები პორტ-არტურში მხოლოდ დროებით შევიდნენ სამსახურის გამო მოგზაურობის დროს და, რასაკვირველია, მალე გავიდოდნენ კიდეც იქიდანაო.

**ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ.** გავრცელებული ხმები, ვითომ ზინოვიევი სცდილობდეს, რომ კრიტოსის გუბერნატორად დანიშნულ იქმნას საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე გიორგი, სადიპლომატო წრეებმა ასე შეასწორეს: ზინოვიევმა მოახსენა სულთანს, რომ თუ ვინიცობაა ოსმალეთი კრიტოსის გუბერნატორის კანდიდატად საბერძნეთის ბატონიშვილს გიორგის დაასახელებს, მაშინ რუსეთიც მზად არის დიდ სახელმწიფოთა წინაშე იშუამდგომლოს ამ კანდიდატზე.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** როდესაც ბრისსონმა დასტოვა პრეზიდენტის სავარძელი და შეტაკება გამწვავდა, დარბაზში შემოიყვანეს ჯარის-კაცთა რაზმი უიარაღოო, მაგრამ დეპუტატებმა ეგ არ მოიწონეს და ჯარის კაცნი ისევ გავიდნენ. სხდომა შეჩერებულ იქმნა და იმავ დროს ბრძანება გასცეს, რომ დარბაზი დაეცალათ გარეშე პირებისაგან, რადგან ლანძღვა-თრევა არ დაწყნარდა და რამოდენიმე ჟურნალისტმა ერთმანეთს ხელითაც შეეხენ. ბერნი და დევილლი შეიტაკნენ გასასვლელში. დევილლმა დააპირა თავში დაერტყა სამელნე ბერნისათვის და მიაყვირა «არამზადავ!» მაგრამ დამსწრეთ დააზავეს მოჩხუბარნი. ამბობენ, რომ ჟორესმა და ბერნიმ ერთმანეთს სეკუნდანტები გაუგზავნესო. საზოგადოება იძულებული შეიქმნა დაეცალა დარბაზი და ქუჩაზე ელოდებოდა სხდომის გათავებას.

ბრისსონის წინადადების თანახმად შეუდგნენ იმის განხილვას, დღეს იყოს თუ არა სხდომაო. სხვა და სხვა აზრი წარმოითქვა მაგრამ რადგან საშიში იყო, რომ არეულობა კვლავ განმეორდებოდა, ბრისსონმა გადასწყვიტა დახუროს სხდომა. დღეს საღამოს პალატის ბიურომ გადასწყვიტა აცნობოს მთავარ პროკურორს, რომ ზოგიერთ დეპუტატებმა პალატაში უწესობა ჩაიდინეს. გამოძიება დაიწყება.

**ᲐᲚᲟᲘᲠᲘ.** 6000 კაცმა მოიყარა თავი ებრაელთა საწინააღმდეგო კრებაზე. წარმოსთქვეს რამოდენიმე სიტყვა. ხელ-კეტებით შეიარაღებული ბრბო ებრაელებისა, 300 კაცი, გაემართე კრებისაკენ, მაგრამ გაჰფანტეს, ებრაელებმა დასჭრეს ორი კაცი, რომელნიც ყავა-ხანაში ისხდნენ, მაგრამ გაჰფანტეს, სანამ მოწინააღმდეგე ბრბოს შეეტაკებოდნენ. ანტისემიტებმა დასწვეს ორი ფარდული და რამოდენიმე მაღაზია აიკლეს. წესიერების აღსადგენად საჭირო შეიქმნა ჯარების დახმარება.

**ᲞᲠᲐᲦᲐ.** გერმანელთა უნივერსიტეტის სენატმა აუწყა საერო განათლების მინისტრს, რომ სამსახურს მთავრობამ არ შეასრულა თავისი დაპირება გერმანელ სტუდენტების ინტერესთა დაცვის შესახებ და არ მისცა მათ ნება ფერადი ქუდების დახურვისა.

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** გაზეთი «National Zeitung»-ი იუწყება კრიტოსის შესახებ: „რუსეთისა და გერმანეთის ინტერესები ამ საკითხის შესახებ არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. გერმანეთს არა აქვს რუსეთის საწინააღმდეგო ინტერესები და საზოგადოდ არავითარი კერძო ინტერესები არა აქვს. გერმანეთი პატიოსნად ეკიდება ევროპაში მშვიდობიანობის დაცვის საქმეს. ხმები, ვითომ საბერძნეთის მემკვიდრის გიორგის შესახებ რუსეთსა და გერმანეთს შორის განხეთქილება მომხდარიყოს, იმდენადვე უსაფუძვლოა, რამდენადაც, მაგალითად, ხმები, ვითომ რუსეთსა და გერმანეთს შორის შეთანხმება მომხდარიყოს ბიზანტიის ახალის სახელმწიფოს აღსადგენათო.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** მეორე ჰანაშვილი მეფე ერეკლეზედ უნდა მოხდეს მცხეთის საკრებულო ტაძარში თებერვლის 25-ს, როცა იქ დაკრძალულ იქმნა ქართველთა დიდება.

ხოლო კერძოდ ახალგაზდობა და ინტელიგენცია, თურმე, დამდეგ კვირისათვის აპირებს პანაშვიდის გადახდას მცხეთაშივე.

*** **წმ. ნინოს დღესასწაული.** ამაღამ წმ. ნინოს დღესასწაულის წინა ღამეს, სიონის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნება ჩვეულებრივი ლოცვა და ღამის თევითი ცისკარი. მლოცველნი იქმნებიან ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმერი და გორის ეპისკოპოზი ალექსანდრე სამღვდელოებითურთ. ხვალ-კი იმავე ტაძარში დილით წირვა იქმნება ქართულსა და რუსულს ენებზე. მგალობლებიც ორ გუნდად იქმნებიან, ქართული ხორო და რუსული. მწირველნი იქმნებიან ეგზარხოსი ვლადიმერი და ეფისკოპოზი ალექსანდრე, უმაღლესი სამღვდელოებითურთ.

*** **ქ-ნი ა. მ. კარგარელის ბენეფისი.** ქართულ თეატრის ამხანაგობას საფუძვლიანად გადაუწყვეტია მიეცეს ახალგაზდა არტისტ ქალს ალექსანდრა კარგარელისას ამ სეზონში ბენეფისი ჯილდოდ იმ შრომისა და მეცადინეობისათვის, რომელიც გამოიჩინა ახალგაზდა მოთამაშემ. ქ-ნი კარგარელის საბენეფისოდ მიდის ახალი პიესა, ოთხ მოქმედებიანი კომედია «ინჟინერი ან დოხტური», რომელიც ეკუთვნის ერთს ახალგაზდა, სომხის ქალს. პიესა თურმე ნამდვილ ცხოვრებიდან არის აღებული და ვისაც წაუკითხავს, ამბობენ, რომ და ნიჭით და ხელოვნებით არის დაწერილიო.

სრული იმედია, რომ საზოგადოება სიამოვნებით დაესწრება ამ წარმოდგენას, რომელსაც ორ ნაირი ინტერესი აქვს: ბენეფისი ახალგაზდა მოთამაშისა და ახალი პიესა ახალ...

*** **აკაკის წერილი.** „ივერიის“ № 6-ში დაბეჭდილია, ვითომ რაჭიდან მოწერილი, ვილაც „ხინჩლას მეგობრის“ ეპისტოლე. ავტორს ფსევდონიმათ განსვენებულ დიმიტრი ყიფიანის სახელი და გვარი აუღია. ამ „ხინჩლურ“ წერილის მწარე კილომ და შეუსაბამო მსჯელობამ გამაკვირვა: თურმე, ქართველებს გამოჩენიათ ერთი ვიღა[illegible]რეში მოკეთე, რომელსაც ყო[illegible] ქართველი თაყვანს უნდა სცემდეს, და ვინც კი არა სცემს, ის, თურმე, თავის სამშობლოს ორგული და მოღალატეა. ამგვარ მოღალატეებად გამომდგარან: „ლალები“, „ზურაბები“, „ზურმუხტები“ და სხვანი, მაგრამ, როგორც „ოჩაპენტრეა“ მბრალმდებელი გვარწმუნებს, ის ამ «კოლოებსა» და „ნაცარქექიებს“ ისე ვერ გაუჯავრებიათო როგორც ჩვენს ერთს «ბობოლა» მწერალს, რომელიც არა თუ გარეშე შინაურს, ნამდვილ ძმამს, სასიქადულო მამულის შვილს არა ჰგუობსო და აღარც მტერს ემებს და აღარც მოყვარესო და სხვებმა რომ ყველამ ერთმანეთს თავი ახალონ სასიკვდილოდ, იმას ფეხებზედაც არ ჰკიდიაო.

ვინ არიან ეს ზემოხსენებული „ლალები“, „ზურაბები“, «ზურმუხტები» და სხვანი, არ ვიცით, მაგრამ ქვეყნის ორგულ ბობოლად კი მე დავუსახელებივარ, თქვენი უმორჩილესი მონა.—ნაწერის გარჩევა და ნაშრომის აწონ-გაზომა საზოგადოთ მიღებულია და ყველასა აქვს უფლება მოსაწონი მოიწონოს დასაგმობი დაჰგმოს, მაგრამ, პირად ღირსების შეხება კი მეტია.—ქვეყნის ორგულობა, გამოჩენილ მამულის შვილების მტრობა და ვერ შეგუება, მტერმოყვარების გადალახვა და შელობა, ყველა ეს ასეთი დამნაშაობაა, რომ ყოველგვარ სისაძაგლეს აჭარბებს! «ხინჩლებმა» და მისმა ამხანაგებმა რაც უნდა სთქვან ჩვენზე. რასაკვირველია, ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევთ, მაგრამ რადგანაც მათი აზრი შეწყნარებული იქმნა «ივერიის» რედაქციისაგან, რომელსაც პატივსა ვსცემთ, საჭიროა ვიცოდეთ: „რედაქცია“ თანახმა და თანა-მოზიარე იმ წერილისა თუ არა?

აკაკი

*** **ავაზაკობა და კაცის მოკვლა.** 11 იანვარს ღამის 11 საათზე შემდეგი შემაძრწუნებელი ავაზაკობა ჩაუდენიათ ვოგზლის მახლობლად: ზემო აღნიშნულს დროს სად. ტფილისის ვოგზლის პირდაპირ დავით სულხანოვის დუქანში შესულა სამი ვაჟბატონი ნაბადში გახვეულნი და მოუთხოვიათ ფული, თუ არ მოგვცემ, მოგკლავთო, დამუქრებიან მედუქნეს; სულხანოვს და მისს პატარა ბიჭს შეშინებიათ და დუქნიდამ გაცვივნულან; ამასობაში ვაჟბატონებს დახლიდამ ამოუღიათ ოთხი მანათი; ხმაურობაზე ოთახიდამ გამოვარდნილა სახლის პატრონის შვილი იონა ანანოვი, ერთს ავაზაკთაგანს თოფი უსვრია ანანოვისათვის; ტყვიას ანანოვი მსუბუქად დაუშავებია და მოხვედრია იქვე მდგომს ჟანდარმის ოზეროვის ცოლს, საჩკვდილოდ დაუჭრია საბრალო და მომკვდარა კიდეც მა[illegible]. მალე მოიჭრა სადგურის და[illegible]აჯი ლუკიან ბელოგზოროვი და ვდა დიდ-ძალი ხალხი და ერთი ავაზაკთაგანი, [illegible], უკვე შე[illegible] [illegible]. მერმე თვით ფსკაძის ჩვენების თანახმად შეიპყრეს სახალხო მატარებლის კონდუქტორი სევერიან თიკანაძე, და ლუკა კუჭუხიძე.

*** **მადლობის გამოცხადება.** ტფილისის ხელოსანთა მოურავი კ. ა. სერობიანცი ხელოსნების მაგიერად მადლობას უცხადებს ტფილისის მოვაჭრე სოლომონ ბარხუდაროვის ქვრივს ელისაბედ ბარხუდაროვისას შვილებითურთ, სამასი მანათის შემოწირულებისათვის, რომელიც უნდა მოჰხმარდეს ხელოსანთა საჭიროებას. ეს შეწირულობა სერობიანცს უკვე შეუტანია ტფილისის სახელმწიფო ბანკის შემნახველ კასაში.

*** **კავკასიაში ავაზაკობის შესახებ.** გაზეთ „პეტერბ. ვედომოსტ“-ს შეუტყვია, რომ მართლ-მსაჯულებისა და შინაგან საქმეთა მინისტრნი კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავ. გ. ს. გოლიცინის თანადასწრებით განიხილავენ ამ მოკლე ხანში საკითხს, თუ რა ზომები უნდა იქმნეს მიღებული კავკასიაში ავაზაკობის მოსასპობლად.

*** **უბედური შემთხვევა რკინის გზაზე.** 11 იანვარს, ნაშუაღლევის 2 საათზე, სადგურ კასპსა და ქსანკას შუა დაიმსხვრა საქონლის მატარებელი № 71. გზა ორი ვერსის მანძილზე გაფუჭებულია და შეკრულია. იმ დღეს ორ გაუშვეს ტფილისიდამ საღამოს მატარებელი და ბათომიდამ მომავალიც გორში შეაჩერეს.

*** **პლიუშჩევსკის ქონების მზრუნველნი.** ტფილისის 1 განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლეს ა. რ. პლიუშჩევსკის ქონების მზრუნველებად დაუნიშნავს ნაფიცი ვექილი მ. ფ. სულევსკი და ნაფიც ვექილის თანაშემწე ი. ს. ჯაბადარი.

*** **ორიოდე სიტყვა რაჭაზე.** ემადლობ ჩემს მოწყალე ღმერთს, აგერ რამდენიმე ხანია და თითქმის ყოველ დღე ვკითხულობ გაზ. «ცნ. ფურცელში» რაჭიდან მოწერილს სხვა და სხვა ამბებს. ეხლა-კი თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ რაჭველებსაც გვყოლია ნასწავლი და სოფლისთვის გულ-შემატკივარი კაცი. ნუ თუ აქნობამდი არა გვყავდათ ვინმე გულ-შემატკივარი კაციო, დამეკითხება გაკვირვებული მკითხველი. როგორ არა გვყოლია და გვყავს ისეთი ნასწავლი კაცები, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სხვისი ნაწერის წაკითხვაც-კი ეზარებათ, არა თუ წერაზე თითონ შეიწუხონ თავი. მე მგონია იმათ სულაც არ შესტკივათ გული სოფლის ჭირ-ვარამზე. მართალია, სწერდნენ ხოლმე გაზ. „ივერიაში“ და „კვალში“, მაგრამ წელიწადში ერთხელ ან ორჯელ და იმასაც რასა? იმისთანა, რასმე, რომელიც აქვე ცა და ქვეყანას გაგონილი ექნებოდა.

მაგრამ აი აგერ რამდენიმე ხანია მოუხშირა ბ-ნმა დიმიტრიმ სოფლის ავ-კარგიანობაზე სხვა და სხვა ამბების წერას. ვისურვებთ ბ-ნ დიმიტრის, რომ მეტი მხნეობა და უნარი

არის ყურიდან ბამბა გამოიღონ, სხვებმაც ძილიდან გამოფხიზლდნენ და თვალები გაახილონ...

სიმონ ბოჭორიშვილი

*** **მცხეთა.** **წირვა და პანაშვიდი მეფე ერეკლეს სულის მოსახსენებლად.** 11 იანვარს, მცხეთის საკრებულო ტაძარში ადგილობრივმა სამღვდელოებამ მეფე ერეკლეს გარდაცვალების ასის წლის თავის სახსოვრად და მისის ბრწყინვალე სულის მოსახსენებლად გადაიხადა წირვა და პანაშვიდი. მღვდელმა ხუროშვილმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. თვით ტაძარი და უზარმაზარი გალავანი გაჭედილი იყო ხალხით.

*** **ბათომი.** **ქართული წარმოდგენები.** ქართული დრამატიული დასი ჩამოვიდა ქუთაისიდამ აქ რამდენსამე წარმოდგენის გასამართავად. პარასკევს, 9 იანვარს, ითამაშეს „ბოშა ქალი ზანდა“ და საუცხოვოდაც ითამაშეს, განსაკუთრებით მოეწონა საზოგადოებას ქ.ქ. ავალიშვილისა, ჩხეიძისა და ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილისა და კ. ყიფიანის თამაში. მეორე წარმოდგენა კვირას, 11 იანვარს, გაიმართა და ითამაშეს შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი.“

*** **დ. ლანჩხუთი** (გურია). **კაცის მოკვლა.** გლეხმა ცინცაძემ მოჰკლა ხანჯლით მისივე მეზობელი ახალგაზდა კაცი ურუშაძე, სულ უბრალო მიზეზის გამო. ეს მკვლელობა მოხდა დეკემბრის უკანასკნელს რიცხვებში.

*** **ს. ცაგერი.** **გუბერნატორის სახსოვარი საქმე.** დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ქუთაისის გუბერნიის მმართველი გენერალ-ლეიტენანტი მ. ი. შალიკოვი, რომ ლეჩხუმს დიდი ყურადღება მიაქცია და უსაჭიროესი ლეჩხუმელებისათვის გზა მისის მეცადინეობით და თაოსნობით გაკეთდა ს. ცაგერამდე. ასე რომ ზაფხულში თავისუფლად ამოვა ქუთაისიდან ცაგერში ქართული ურემი და თუ გზები შესწორდება ზოგიერთ ალაგას, ეტლიცა და დილიჟანიც კარგად ივლის. ამაების შემწეობით გაუადვილდება და იაფად დაუჯდება ცაგერსა და ქუთაისს შუა მიმოსვლა და ყოველისავე სანოვაგის გასაღება ლეჩხუმელს. აგრეთვე მისივე მეოხებით 1897 წლის 1 ენკენისთვეს გაიხსნა ცაგერში ორკლასიანი სამინისტრო სსწავლებელი.

სწორედ დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი გუბერნატორი, რომ ამ გზით სიცოცხლე გამოიწვია ლეჩხუმში და მით მკვიდრი სახსოვარი დაანარჩუნა ხალხში.

მურის ციხე

ს. **ასკანა** (გურია) **შემნახველ დამზოგველ ამხ. კრება.** ორ იანვარს, როგორც უკვე მოხსენებული იყო „ივერიის“ № 269-ში შესდგა პირველ წლიური საზოგადო კრება ასკანის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წევრთა; კრებაზედ დასწრო 160 წევრი და ორასამდი არა წევრი, ასე, რომ ვეებერთელა ორკლასიანი სკოლის დარბაზი სულ კამოჭიმქნეული იყო ხალხით. კრება გაიხსნა სწორედ პირველ საათზედ, განსახილველი იყო შემდეგი საგნები: ა. შემწეობა და დამტკიცება 1897 წლის ანგარიშისა, ბ. არჩევა ერთი გამგეობის წევრისა ნაცვლად იმისა, რომელიც უნდა გამოვიდეს რიგით, გ. არჩევა საბჭოს ორი წევრისა, ნაცვლად რიგით გამომსვლელთა; დ. არჩევა სამი წევრისა ამხანაგობის ანგარიშის შესასწორ-შესამოწმებლად; ე, მიღება ახალ წევრთა და სხვა — კრება თავმჯდომარეობით სოლომონ ჭეიშვილისა მოისმინა 1897 წლის ანგარიში, რომლისაგანაც სჩანს, რომ ამხანაგობას თავის წარმოება დაუწყია 2 იანვარს 1897 წელსა, წლის განმავლობაში ამხანაგობაში შემოსულა ორას ორი წევრი, მათგანში ოცდა რვა ქალი — წლის განმავლობაში გამორიცხულია ორი წევრი, ერთი საწილო ფულის დროზედ შემოუტანლობის გამო დ მეორე გარდაცვალებულია. — სრული საწევრო ფული ოცდა ხუთი მანეთი შემოუტანია ორმოცდა ხუთ წევრს. — შემოსულა საწევრო ფული 3024 მ. — სარგებელი გასესხებული ფულისა 425 მ. 86 კ. — დაბრუნებულა სესხი 3947 მ. — შესანახი ფული შემოსულა 1197 მ. 10 კ. — სხვა და სხვა 60 მ. 56 კ. — გადარიცხულა საწევრო ფული 27 მ. — სულ 8681 მ. 56. — გასავალი: საწევრო ფული 27მ. — სესხი 7870 მ. — სარგებელი ვადამდე შემოტანილი ფულისა 3. მ. 83 კ. — შესანახად შემოტანილი ფული გაუტანიათ 554 მ. 79 კ. — სარგებელი შესანახად შემოტანილი ფულისა 10 მ. 98 კ. — ხარჯი წიგნებისა, შკაფისა და სხვა 54 მ. — სულ 8520 მ. 60 კ. — დარჩა ნაღდი ფული კასაში პირველ იანვრისთვის ამა წლისა 160მ.96 კ.ა) კრებამ სცნა ყოველივე კანონიერად და დაამტკიცა: ბ) გამგეობის წევრად ხელ-მეორედ არჩეულ იქმნა ივლიანე ჭეიშვილი; გ) საბჭოს წევრად ხელ-მეორედ არჩეულ იქმნენ სოლომონ ჭეიშვილი და ალექსი ჭელიძე — დ) არჩევა სამი წევრისა მთელი წლის ანგარიშის შესასწორ-შესამოწმებლათ კრებამ უარ-ჰყო — ამ კრებაზედ წევრობის სურვილი განაცხადეს სამოცმა, მათგანში ხუთმეტმა ქალმა; კენჭი უყარეს მხოლოდ ხუთს მათში მიიღეს ოთხი და ერთი (ქალი) გააშავეს, თეთრი 50, შავი 103 — დანარჩენების მიღება გადადვა შემდეგი საგანგებო კრებისათვის, რომელიც უნდა მოხდეს თერთმეტ ამა თვეს დილის ცხრა საათზედ. — კრებამ უანგარო სამსახურისათვის გამგეობის წევრს ბ. ივლიანე ჭეიშვილს მიართვა ერთი ლამპა და წევრების მიერ ხელ-მოწერილი წერილი, რომლის მირთმევა კრებამ დაავალა ქ-ბნ ვარ. შევარდნაძისას და ბ. კაპიტონ ასათიანს, რომლებმაც შესაფერი სიტყვა უთხრეს და სთხოვეს კვლავაც გამგეობაში სამსახური. გამგეობის წევრთ მღ. სარდიონ ჯინჭარაშვილის და დიაკ. სიმონ შარაშიძეს კრებამ გამოუცხადა მადლობა უსასყიდლო სამსახურისათვის უკანასკნელად თავმჯდომარემ მოაგონა კრებას თუ რა დიდი შრომა მიუძღვის ამხანაგობის გამგეობაში ვიდრე ექვსი თვის განმავლობაში ბ. ეფრემ თალაკვაძეს, რომელიც იხლა ტომსკის უნივერსიტეტში სწავლობს ფაკულტეტზედ და აუხსნა, რომ ურიგო არ იქმნება ცოტა რაიმე სარგებლისაგან გადავდვათ მისდა სასარგებლოთ: კრებამ დიდის აღტაცებით მიიღო ეს წინადადება და დაადგინა: გაეგზავნოს სარგებლიდგან ოცდა ხუთი მანეთი. ამ დროს ერთმა პატივცემულმა წევრთაგანმა ივლიანე ნინიძემ თავმჯდომარეს გადასცა ხუთი მანეთი იმ ფულების დასამატებლად მოჰყვა სხვებიც და ხუთის წუთის განმავლობაში შეგროვდა სამოცდა რვა მანეთი და სამი შაური გარდა იმ ოცდა ხუთი მანეთისა, რომელიც კრებამ გადასდო აქ სახელის და გვარის გამოაცხადებს იმ პირებსა, რომელთაც თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულეს და ხელი შეუწყვეს შორეულ მხარეში მყოფ სტუდენტს საჭიროთ არ ვრაცხთ, თავის დროზედ თვითონ ბ-ნი თალაკვაძე გამოაცხადებს კრება საღამოს რვა საათზედ დაიშალა.

მიხაკო თალაკვაძე.

*** ს. **ბოდბისხევი** (ქიზიყი). **ჩვენი გაჭირვება.** ნათქვამია, „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“, სწორედ ეს დაემართება ჩვენს სოფელს, თუ რაც გამოგვიცხადეს, სისრულეში მოიყვანეს. თავათ ვართ ეკონომიურათ და გონებით სხვა სოფლებთან მეტად ჩამორჩენილნი, და მაშინ ჩვენი სოფლის მცხოვრებნი ჩავცვივით უფრო უკიდურ მდგომარეობაში როგორც ქონებით გავნადგურდებით, ისე გონებითაც გავთახსირდებით.

ჩვენი სოფელი მდებარეობს მთა გორიან ხევ-ხუვ ადგილებში, სადაც შიგა და შიგ შუა სოფელში ტიტველა გორაკებია და ზოგიერთს ადგილასაც კუტი ჯაგია აღმოცენებული, რითაც ხელ მოკლე ღარიბ ღატაკნი სარგებლობენ, როგორც ფიჩხათ იყიდონ, ან შორიდგან მოიტანონ. ეს ჯაგიმაგიანი ადგილები შეადგენს ეზოებს ჩვენი ხალხისას ასე, რომ სახლის კარებიდგანვე იწყება ამისთანა ადგილები მეორე მოსახლემდინ, და შეადგენს მოსახლის საკუთრებას მამა პაპით და რამდენიმე საუკუნეებითაც. ამ ადგილებს ზოგი თუ სჯაგავს, ზოგსაც დაცული აქვს და მშვენიერ ტყეთ აქვს გარდაქცეული.

ამ წარსულ დეკემბრის დამლევ რიცხვებში, მამასახლისმა გამოაცხადა ხსენებული ტყეების ხმარება და სარგებლობა აღკრძალულიაო. ვისაცა გსურთ დასჭერით, რომ თქვენი ნაშრომი ფიჩხიც არ დაგეკარგოთო თორემ, მერე აღარ შეგეძლებათ არამც თუ ფიჩხის მოჭრა, შიგ გავლაც აღგეკრძალებათო. ამ ამბავმა საშინელი თავ ზარი დასცა ხალხსა და საბრალო გულ მოკლულნი მიეშურებოდნენ აქამდის შვილივით ნაზარდ ტყეების გასაკაჯავათ, და თან გულ საკლავათ მოსთქვამდნენ: ნუ თუ ჩვენი მამა-პაპანი იმოტომ იღვწოდნენ, მტერს უდგნენ პირში, არ უშვებდნენ თავიანთ მიწა წყალზედ, შეუბრალებლად იჟლიტებოდნენ, სისხლით რწყავდნენ და ძვლებით ჰკენჭავდნენ აქაურობას, რომ ოდეს იმათი დატოვებულით ვერ ვისარგებლეთო..-

ჩვენი აქ ცხოვრებაც შეუძლებელი იქნება იმიტომ, რომ აღარ შეეძლება ბ[illegible] წყალ კაცს გაიჩინოს ქათამი, ბატი, ინდაური, ან რომელიმე შინაური ოთხფეხი ცხოველი, რადგანაც ამ საყარაულებში აღკრძალული იქნება ყველა ამ ფრინველ ცხოველების გაშვება, რომელიც უსაჭიროესია ყველა ესენი ჩვენი კაცის ცხოვრებაში. და ან რა უნდა ჰქნას ქვრივ ოხერმა წვრილშვილმა დედაკაცმა, რომელიც სიცივისაგან შეწუხებულ თავის შვილებს ცეცხლს უნთებს ამ ადგილებში მოჭრილი ფიჩხით და პურს უცხობს, და დღეის იქით ხომ სიცივ შიმშილით დაეხოცებიან.

თუ ეს ადგილები მართლა ჩამოგვართვეს, მაშინ უნდა დავაგდოთ ჩვენი სამშობლო მიწა წყალი, და გუდა ნაბად აკიდებულმა ვიწანწალოთ უბინაოდ ერთი ქვეყნიდგან მეორე ქვეყნის კუთხემდის.

იროდიონ ოქროაშვილი

*** **ფასანაური.** (ხევი) **მოხუცებულის გარდაცვალება.** 9 ამ თვეს აქ გარდაიცვალა ერთი ღრმად მოხუცებული კაცი, რომელიც 100 წლისა იყო და უკანასკნელ დღემდის დახლში იდგა და ვაჭრობდა.

— **საქველ-მოქმედო საქმე.** ჩვენ გავიგეთ, რომ ა. ოგბაიძეს, განუზრახავს ფულის შეკრება ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ და ამ კვირია გადასცემს კიდეც „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. ჩვენ ფასანაურელები, დიდის სიხარულით ვეგებებით ამ კეთილ განზრახვას.

ალექსი მელიქოვი

*** **ბათომი.** **ჩარჩული გაჭრობაც ამას ჭქვიან!** ამას წინედ გაზ. „ცნ. ფურცელი“-ს № 370-ში მოკლედ მქონდა აწერილი კაკლის ხისა, კუნძისა და ბზის ვაჭრობის გარემოება აქაურ სომეხ-ვაჭრებისაგან. ეს ჩემი წერილი ბათომის გაზეთმა უარ ჰყო და მოჭორებულ ამბად აღიარა. ეს ხომ ჩვეულმბრივი ხრიკია ამ ყოვლად უმართებულო ცალმხრივი გაზეთისა, რომელიც სიმრუდეს ამართლებს, სიმართლეს ამრუდებს და ხელს აფარებს ბათომელ ხეების მოვაჭრე სომხებს. თუ რამდენად მართალნი არიან სომეხმოვაჭრენი და თვით ადგილობრივი გაზეთი, დავინახოთ შემდეგიდინ: ხეების ვაჭრობა აქაურმა სომხებმა ათი ხუთმეტი წელიწადია დაიწყეს ქართველებისაგან, შეაგროვებენ რამდენიმე ათას ფუთს და გზავნიან სამზღვარ-გარედ.

ამდენ ხანს კაკლის ხე, კუნძი და ბზა, რაც ჩამოდიოდა ბათომში, იწონებოდა ქალაქის სასწორზედ, ამ ანგარიშით ყიდულობდენ ხეებს, აგრეთვე აწონილ ხეების ანგარიშს წარუდგენდნენ დამოჟნას და ბაჟი ფუთზე 42 კაპ. შეჰქონდათ.

29 დეკემბერს სხვა ნაირად დატრიალდა საქმე: დამოჟნამ ეჭვი აიღო ქალაქის სასწორზედ, ამიტომ ქალაქის სასწორზედ აწონილი კაკლის ხე წონით 50 ფუთი თავის სასწორზედ აწონა, აქ კი წონა 58 ფუთი მოვიდა, 8 ფუთით მეტი! ამ ამბის შემტყობმა, ხის პატრონმა ილარიონ ცხვიტარიამ კინაღამ ჭკვაზედ არ შეცთა!..—მარტო მე მომიტანია ასი ათასი ფუთი ხე და თუ ასე მატლებდნენ, დავღუპულვართო— ამბობდა. ეხლა ადვილად იანგარიშება, თუ 50 ფუთში 8 ფუთი მოიპარა სასწორმა, 1000 ფუთზე მოდის 160 [illegible] 16,000 ფუთი!...

ჩვენ კარგად ვიცით, [illegible] აქაური სომეხ-ვაჭრები ყოველ წლივ გზავნიან სამზღვარ-გარედ ასი ათასი ფუთზე მეტს ხეებს. აშკარაა, რომ სასწორს უჩუქებია მათთვის 16,000 ფუთი ხე, ღირებული (ფუთი ღირს 20 კაპ.)—19,000 მანეთად... ხოლო დამოჟნას გაჰპარვია თავის ხვედრი ბაჟიდან ფუთზედ 42 კ., უნდა ვანგარიშოთ 16,000 ფუთის, შეადგენს 7,000 მანეთამდე, ხოლო საერთო ჯამი შეადგენს 26,000 მან., ეს წლიური ანგარიში, ხოლო ათი წლის განმავლობაში კი 260,000 მანეთი შესდგება! აი ეს ფულები ჩაუმტკბარუნებიათ ჩვენს სომეხ ვაჭრებს. საკვირველია, ასე ჩუმად როგორ მიჩხრიალებდა ამდენი ხნის განმავლობაში ამდენი ფულები სომეხ-ვაჭრების ჯიბეშია... ეს ამბავი ამდენ ხანს არ იცოდა არც დამოჟნამ და არც ქალაქმა, არც ქართველ ვაჭრებმა, მხოლოდ იცოდნენ სომეხვაჭრებმა და ქალაქის სასწორმა!... მეტი რაღა უნდა ეთქვათ, გარდა იმისა, რომ აწი მაინც რიგიანი ყურადღება მიაქციონ სასწორს, ვისგანაც ჯერ არს, თორემ შენი მტერია, ჩოხა-ნაბადსაც ჩამიაგვაცლიან... ადგილობრივი გაზეთი ეხლაც დააფარებს ხელს ამ უსამართლო საქმეს, ან რა საკვირველია, ცოტა სარფა აქვს თუ?

სპირიდონ ხვიჩია.

---

## ლიტერატურული ახალი ამბები

**პავლე ყიფიანის ახალი მოთხრობა.** ჟურნალ „მოამბის“ იანვრის წიგნში, რომელიც ამ სამს დღეში დაურიგდებათ ხელის-მომწერთ, დაბეჭდილია ბ-ნის პავლე ყიფიანის ახალი მოთხრობა, სახელად «მუნჯური მეტოდი“.

**ანტ. ფურცელაძის ახალი პოემა.** „მოამბის“ რედაქციას შეუძენია ცნობილის ლიტერატორის და მოღვაწის ახალი პოემა „ცისკარა“; პოემაში აწერილია საქართველოს თავ-განწირული ბრძოლა თავისუფლებისათვის და მით უფრო საინტერესოა, რომ უმთავრეს მომქმედ პირად ქალია დახატული. პოემის ბეჭდვას რედაქცია თებერვლის წიგნიდან აპირებს.

**ტოლსტოის ახალი რომანები.** გამოჩენილი გრაფი ლ. ტოლსტოი ამ ჟამად ორ ახალ რომანს ათავებს. ერთი ამ თხზულებათაგანი ხატავს გაჭირვებულის გლეხი-კაცის ცხოვრებას: აწერილია ამ რამდენისამე ხნის წინად ყოფილი სიმშილი რუსეთში და საშინელი მდგომარეობა, რომელშიაც მან ჩააგდო მოუმზადებელი ხალხი. მეორე რომანში დახატულია უმაღლესი საზოგადოება რუსეთისა თავის ყოველი ბინძურობით და ბიწიერებით.

**დონკიხოტის პირვანდელი გამოცემა.** ქ. ბარსელონში დაიბეჭდა სერვანტესის გამოჩენილი თხზულება „ლამანჩელი აზნაური დონ-კიხოტი“ სწორედ ისევე, როგორადაც იგი პირველად გამოვიდა სტამბიდან 1605 წელს—იგივე ფორმატისაა წიგნი, იმავე შრიფტით ნაბეჭდი, იმისთანავე ქაღალდზე, და სხვა და სხვა.

მაწლას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეატრის მატიანე

**ქართული წარმოდგენა.** გუშინ წინ, კვირას, ქართულს თეატრში წარმოადგინეს „სამზადისი“, პეტრე უმიკაშვილის ერთ მოქმედებიანი სურათი, „ძუნწი“ თ. გ. ერისთავის კომედია და „კომლი უცეცხლოდ“ დრამატიული სურათი 1 მოქმედებად. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო და საზოგადოდ მშვენიერი ზედ გავლენა იქონია მაყურებლებზე.

„სამზადისი“ პირველდებულად ხალხმა მოიწონა და მოთამაშენიც უკეთ ასრულებდნენ თავიანთ როლებს. „ძუნწში“ ვ. აბაშიძის ბედნიერმა ნიჭმა და ხელოვნურმა თამაშმა სიცილით დახოცა საზოგადოება და თეატრში განუწყვეტელი ხარხარიც სიცილი გაისმოდა. „ძუნწში“ საზოგადოდ კარგები იყვნენ ბ-ნი ადამიძე, ქ-ნი გარელი და გამყრელიძისა.

დასასრულ წარმოდგენილ იყო გიორგი შარვაშიძის ერთ-მოქმედებიანი დრამატიული სურათი „კომლი უცეცხლოდ“, რომლის შინაარსი მეტად მარტივია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სურათი სავსეა ფსიხოლოგიურის ჭეშმარიტებით და ნამდვილის ნიჭიერის დაკვირვებით. აშკარაა, რომ ავტორს კალამიც ემორჩილება, ნიჭიც შესწევს ფსიხოლოგიური მოძრაობათა დასასურათებლად და უნარიც სცენის ტეხნიკას უადვილებს. ენა პიესისა საუცხოვო რამ არის, მკვირცხლი დიალოგები, აზროვანი, სურათოვანი, წინადადებანი, კარგი კილო და სხვა. ნათლად ნიშნავს ავტორის მიერ ქართულ ენის ზედ მიწევნით ცოდნას. ეჭვი არ არის, რომ ავტორს, თუ მოინდომა, ძრიელ ადვილად შეუძლიან სერიოზი და ხელოვნური პიესის დაწერა ამ დროინდელი ცხოვრებიდან, რომელსაც ავტორი კარგად იცნობს. „კომლი უცეცხლოდ“ თუმცა უცხოეთის ცხოვრების ჩარჩოებშია ჩაყენებული, მაგრამ შინაარსი მისი ჩვენებურია, საამდროვო.

პიესა იშვიათის ხელოვნებით იყო წარმოდგენილი. ჩვენ დიდი ხანია არ დავსწრებივართ ასეთს ყოვლად სრულს და ხელოვნურად შემუშავებულს თამაშს. საუცხოვონი იყვნენ ყველანი და განსაკუთრებით ეფ. მესხი, კ. მესხი, გ. კანდელაკი, ა. ადამიძე, სვ. სვიმონიძე და ქ-ნი კარგარელი.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია ხუთშაბათს, 15 იანვარს, ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი არტისტი ქალის ქ-ნი ალექსანდრა კარგარელის საბენეფისოდ. წარმოდგენილი იქნენება ახალი პიესა 4 მოქმედებიანი კომედია „ინჟინერი ან დოხტური“ და ორ მოქმედებიანი ფარსი „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“.

V.

# განცხადებანი

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება

თ. სახოკიას შედგენილი

რუსულ-ქართული

ლექსიკონი

ფასი 20 შ.

## ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანად სურს შეისწავლოს

სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკის უფროსს ბუღალტერს ი. ია. ბრონ ფონ-ბრენერს.

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანად შესწავლისა 60 მან.

## КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ.

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.

2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи,)

3) **Ариѳметики на счетахъ,**

4) **Коммерческой экономіи,**

5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита и препод. **школы садоводства.**

## ПЛАТА ЗА ВЕСЬ КУРСЪ 60 РУБ.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е числа каждаго мѣсяца. **АТТЕСТАТЫ за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ Фонъ-Бренеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (52 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—86

## открыта подписка на 1898 годъ

на ежедневн. политическ., литерат. и экономич. газету

## „НОВОСТИ“

и на еженедѣльный художественный журналъ

## „Петербургская Жизнь“

Изданія ВЫСОЧАЙШЕ утвержденнаго акціонернаго общества

## „ГУТЕНБЕРГЪ“

### ПОДПИСКА на „НОВОСТИ“ въ 1898 году.

**на 1-е (большое) изданіе:**

| | На годъ р. к. | 11 м. р. к. | 10 м. р. к. | 9 м. р. к. | 8 м. р. к. | 7 м. р. к. | 6 м. р. к. | 5 м. р. к. | 4 м. р. к. | 3 м. р. к. | 2 м. р. к. | 1 м. р. к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Безъ доставки | 14 50 | 13— | 12— | 10 50 | 9 80 | 9— | 8— | 6 80 | 5 50 | 4— | 2 80 | 1 50 |
| Съ доставкой по городской почтѣ | 16— | 15— | 13 50 | 12— | 11— | 10— | 9— | 7 50 | 5 80 | 4 50 | 3 30 | 1 80 |
| Съ пересылкой иногороднимъ | 17— | 15 50 | 14 50 | 13 50 | 12 50 | 11 30 | 10— | 8 50 | 7— | 5 50 | 4— | 2— |
| За границу | 26 20 | 24 50 | 23— | 21— | 18 50 | 16— | 14— | 12— | 10— | 8— | 6— | 3 50 |

**на 2-е (малое) изданіе:**

| | На годъ р. к. | 11 м. р. к. | 10 м. р. к. | 9 м. р. к. | 8 м. р. к. | 7 м. р. к. | 6 м. р. к. | 5 м. р. к. | 4 м. р. к. | 3 м. р. к. | 2 м. р. к. | 1 м. р. к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Съ доставкой по городской почтѣ | 9— | 8 50 | 8— | 7 50 | 7— | 6 50 | 6— | 5— | 4— | 3— | 2— | 1— |
| Съ пересылкой иногороднимъ | 10— | 9 50 | 9— | 8 50 | 8— | 7— | 6— | 5— | 4— | 3— | 2— | 1— |
| За границу | 18— | | | | | | 10— | | | 6— | | 2— |

Подписавающіеся на „Новости“ вмѣстѣ съ „ПЕТЕРБУРГСКОЙ ЖИЗНЬЮ“ доплачиваютъ къ подписной цѣнѣ на „Новости“ (каждаго срока) только одинъ рубль.

РАЗСРОЧКА платежа годовой подписной цѣны допускается: для служащихъ—по третямъ черезъ ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенію съ конторою.

Деньги и письма адресуются: Петербургъ, въ контору газеты „НОВОСТИ“ (Б. Морская, № 17). Адресъ для телеграммъ: Петербургъ, «Новости».

Подписка на «Новости» вмѣстѣ съ „Петербургской Жизнью“ представляетъ ту выгоду, что подписчикъ за прибавку одного рубля къ подписной цѣнѣ газеты пріобрѣтаетъ еженедѣльно иллюстрированный журналъ, заключающій въ себѣ обширный беллетристическій, научный и др. матерьялъ и массу художественныхъ воспроизведеній событій дня. Прибавка одного рубля не покрываетъ даже расходовъ на пересылку журнала, стоящую болѣе рубля, и, такимъ образомъ, подписчикъ получаетъ журналъ даромъ при нѣкоторой приплатѣ со стороны редакціи къ стоимости пересылки.

**Условія отдѣльной подписки на иллюстрированный журналъ**

## „ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ“

1898 г.

Подписная цѣна журнала: безъ доставки и пересылки: на 1 годъ—5 р., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 руб. 75 коп. Съ доставкою и пересылкою: на 1 годъ—6 р., на 6 мѣс.—3 р., на 2 мѣс.—1 р.

**Журналъ выходитъ по воскресеньямъ.**

При конторѣ „НОВОСТИ“ сущестуетъ

## КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ,

услугами котораго подписчики «НОВОСТЕЙ» пользуются на льготныхъ условіяхъ.

Отвѣтственый редакторъ-издатель О. К. НОТОВИЧЪ.

(10—8).

სადღვავი

## წისქვილები

მზადდება ინჟენერთა იარალოვის და ალიხანოვის ქარხანაში

МУКОМОЛЬНЫЯ

## МЕЛЬНИЦЫ

паровыя, водяныя, конноприводныя

**изготовляетъ какъ спеціяльность**

машино-строительный заводъ инженеровъ

**Яралова и Алиханова**

*въ Тифлисъ,* (100—84)

Александровская улица, собств. домъ

## „НЕДѢЛЯ“

(10—5)

**Принимается подписка на 1898 г. [тридцать-первый годъ изданія].**

«НЕДѢЛЯ» состоитъ изъ двухъ изданій: еженедѣльной общественно-политической газеты „Недѣля“ и ежемѣсячнаго литературнаго журнала «КНИЖКИ НЕДѢЛИ».

Соединеніе еженедѣльной общественно-политической газеты съ ежемѣсячнымъ литературно-критическимъ журналомъ даетъ возможностъ редакціи „НЕДѢЛИ“ охватывать въ своемъ изданіи всѣ интересы текущей жизни, подлежащіе вѣдѣнію періодической печати.

Цѣна газеты „НЕДѢЛЯ“ съ „КНИЖКАМИ НЕДѢЛИ“ **девять рублей** въ годъ съ пересылкой и доставкой.

Въ уплатѣ подписной суммы допускается разсрочка: при подпискѣ 5 р. и къ 1-му іюня—4 р., а также и на другихъ условіяхъ, по соглашенію подписчика съ конторой редакціи.

**Подписка принимается:** въ С.-Петербургѣ, въ конторѣ редакціи „НЕДѢЛИ“, Литейный, 9. Редакторъ-издатель **В. П. Гайдебуровъ.**

## Открыта подписка НА 1898 ГОДЪ.

на литературно-политическій и научный журналъ

## „Русское Обозрѣніе“.

Девятый годъ изданія.

Выходитъ въ Москвѣ, БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ, 1-го числа каждаго мѣсяца, книжками до 30 печатныхъ листовъ по той же программѣ и при участіи тѣхъ же ближайшихъ сотрудниковъ, что и въ прежніе годы.

Содержаніе журнала и въ 1898 году будетъ отличаться обычнымъ разнообразіемъ и полнотой. Кромѣ богатаго запаса беллетристическихъ произведеній (романовъ, повѣстей, разсказовъ, стихотвореній и т. п.), пріобрѣтены, между прочимъ, неизданныя письма Аксаковыхъ, И. С. Тургенова, К. Н. Леонтьева, Н. П. Гилярова-Платонова, Н. С. Кохановской, А. И. Герцена, Н. П. Огарева, Н. Щедрина (М. Е. Салтыкова) и друг.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ пересылкой и доставкой: на годъ—15 руб., на полгода—7 руб. 50 коп., на 3 мѣсяца—3 р. 75 к., на 1 мѣсяцъ—1 р. 25 к. За границу съ пересылкой 18 руб.

Для лицъ духовнаго званія, для гг. преподавателей высшихъ, среднихъ и низшихъ учебныхъ заведеній, для лицъ военнаго сословія и для учащихся въ высшихъ учебныхъ заведеніяхъ подписная цѣна: 1 годъ—12 руб., 6 мѣс.—6 руб., 3 мѣс—3 руб., 1 мѣс.—1 руб. За границу 15 руб., съ пересылкой.

Правительственныя и общественныя учрежденія всѣхъ вѣдомствъ, полковыя библіотеки, военныя собранія, а равно и лица, состоящія въ оныхъ на службѣ, могутъ получать журналъ въ кредитъ, заявивъ о семъ конторѣ журнала чрезъ свои канцеляріи.

Годовая подписка на журналъ принимается во всѣхъ лучшихъ книжныхъ магазинахъ, **съ разсрочкой же платежа** просятъ адресовать **исключительно въ контору журнала.**

Кныжнимъ магазинамъ и библіотекамъ дѣлается уступка по 50 коп. съ каждаго годоваго экземпляра доставленной подписки.

**NB.** Лица, подписавшіеся одновременно на журналъ Русское Обозрѣніе и на газету Русское Слово (годъ изданія четвертый). На годъ, безъ различія **къ какому бы званію или сословію ни принадлежали,** могутъ пользоваться **значительною уступкой,** уплативъ за оба изданія (ежемѣсячный журналъ и ежедневную газету) **всего только 16 руб.** (въ мѣсто 20) **въ годъ.** Подписка съ означенною льготой **не разсрочивается** и черезъ **книжные магазины не принимается.**

Въ этомъ случаѣ слѣдуетъ обращатся (лично или письменно) **исключительно** въ контору журнала Русское Обозрѣніе: Москва, Тверской бульваръ, д. Яголовскаго.

Книги журнала за первыя семь лѣтъ съ его основанія (1890—1896 гг. продаются въ конторѣ редакціи по 5 руб. за годъ. За пересылку доплачивается на мѣстѣ по разсчету. Выписывающимъ всѣ семь лѣтъ—пересылка на счетъ редакціи.

Такъ какъ **пересылка по почтѣ стоитъ слишкомъ дорого,** то въ требованіяхъ **непремѣнно обозначать** ближайшую станцію желѣзной дороги или отдѣленіе транспортной конторы, гдѣ заказчикъ желаетъ получить изданіе. Причемъ **стоимость пересылки по жел. дорогѣ или чрезъ транспортную контору уплачивается, адресатомъ на мѣстѣ.**

(5—5) Редакторъ-издатель **АНАТОЛІЙ АЛЕКСАНДРОВЪ.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Января, 1898 г. სტამბა ქ. ი. ხელაძის, დოროს მაღლოქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ვაჟ. ზუბია